

ბიზანტიური ეპიკური პოეზია

აღსანიშნავია, რომ ბერძნულმა ლიტერატურამ, რომელსაც სათავე ძვ. წელთაღრიცხვის მე-8 საუკუნეში ედება, არსებობა ეპოსით დაიწყო. შედარებით ძნელი ასახსნელია, მაგრამ ფაქტია, რომ არა მხოლოდ ბერძნულ, არამედ მთელს ევროპულ ლიტერატურაში პირველი ეპიკოსი პოეტის, ჰომეროსის (ძვ. წ. VIII ს.) პოემები „ილიადა“ და „ოდისეა“ არა მხოლოდ ბერძნულ, არამედ საერთოდ, მსოფლიო პოეზიაში დღემდე ამ უანრის კლასიკურ ნიმუშებად დარჩა. აქედან გამომდინარე, მათი შესწავლა დღესაც ისევე მოეთხოვება განათლებულ მკითხველს, როგორც მაშინ, როცა ეს პოემები შეიქმნა. მომდევნო დროის პოეტებიდან ჰომეროსს ბევრი დაუფარავად ბაძავდა და ამით თავიც კი მოჰქონდა. სალექსო საზომი – დაქტილური ჰექსამეტრი, რომელიც პოეტმა თავის პოემებში გამოიყენა, ეპიკური თხზულებების დაკანონებულ, შეუცვლელ საზომად იქცა. ამ გენიალურმა შემოქმედმა პოეტური სიტყვის ხელოვნებაში თავისი ზეგავლენა არა მხოლოდ – ელინურსა და ელინისტურ, არამედ ბიზანტიურ ეპოქაშიც შეინარჩუნა. მრავალფეროვან ბიზანტიურ მწერლობაში ეპიკური პოეზიის ავტორები მისაბაძ მაგალითად ისევ და ისევ ჰომეროსს ისახავდნენ.

პირველი ბიზანტიელი ეპიკოსი პოეტი, ამ სიტყვის საკუთრივი გაგებით, რომლის შემოქმედებამაც ჩვენამდე მოაღწია, ქალია, ევდოკია, – დედოფალი აღმოსავლეთ რომის ანუ ბიზანტიის იმპერიისა. მართალია, მისი პოეტური მემკვიდრეობა ორიგინალურობით არ გამოირჩევა, მაგრამ სამაგიეროდ ანტიკური კულტურის ღრმა ცოდნითა და ფართო განათლებითაა აღბეჭდილი.